

ოჯახური მარნების როლი ღვინის ტურიზმის განვითარებაში (კახეთის რეგიონში)



მიქელაძე მარიამი  
სიყმაშვილი ნატო  
ნათენაძე გიორგი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში, ტურიზმში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქემერტელიძე გიორგი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2018

## აბსტრაქტი 1

კვლევის თემას წარმოადგენს „ოჯახური მარნების როლი ღვინის ტურიზმის განვითარებაში (კახეთის რეგიონში). შესაბამისად კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა კახეთის რეგიონის საოჯახო მარნები.

სტრუქტურულად ნაშრომი შედგება 6 ძირითადი თავის (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, მეთოდოლოგია და კვლევის დიზაინი, ძირითადი ნაწილი, კვლევის ანალიზი), დასკვნის, რეკომენდაციების, ბიბლიოგრაფიის და დანართებისგან. კვლევა ჩატარდა თეორიული და პრაქტიკული მონაცემების მოგროვებით, სამი მიმართულებით, რაც ითვალისწინებდა მოთხოვნა-მიწოდების დადგენას და შემდგომ მიღებული სერვისების კმაყოფილების დონის გაზომვას.

ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს საოჯახო მარნების როლი და ადგილი ღვინის ტურიზმის განვითარებაში, არსებული პრობლემები და დაბრკოლებები, გასცეს რეკომენდაციები თითოეული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ნაშრომი დაეხმარება ღვინის ტურიზმის და ოჯახური მარნების სფეროთი დაინტერესებულ პირებს, შეაფასონ და განავითარონ არსებული მდგომარეობა, გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე. ჩვენ გვჯერა, რომ კვლევის შედეგებით შეგვიძლია ჩვენი წვლილი შევიტანოთ საოჯახო მარნებისთვის არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ღვინო, ღვინის ტურიზმი, საოჯახო მარნები.

## Abstract 2

Research subject is the role of the family winemaking in the development of wine tourism in the region of Kakheti. Therefore, as an object of research we have chosen traditional wine cellars of Kakheti region.

Thesis consists of six parts: introduction, review of literature, methodology and design of the research, main text and analysis. These are followed by conclusion, recommendations, bibliography and annexes. The research was done by collecting theoretical and practical data in three categories, which included determining demand, supply and customer satisfaction level.

The goal of the thesis is to show the role of the family wine cellars in the development of wine tourism and the existing problems in this field as well as give recommendations on how to solve each problem.

This thesis will help those who are interested in wine tourism and family wine cellars to assess and develop existing situation based on the given recommendations. We do believe that with the results of our research we can contribute to improving the existing situation for the traditional family wine cellars.

**Keywords: wine, wine tourism, family wine, cellar.**

## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ატორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სიყმაშვილი ნატო

მიქელაძე მარიამი

ნათენაძე გიორგი

2018 წელი